თემა 24

ამინდი

Погода

ამოცანები:

- მოსწავლეები ისწავლიან: როგორ ისაუბრონ ამინდზე
- როგორ აღწერონ ამინდი და გამოიყენონ შესაბამისი ზედსართავი სახელები
- როგორ იწარმოება ამინდთან დაკავშირებული ზოგიერთი ზედსართავი სახელი არსებითი სახელისგან.
- „ცივა“, ცხელა, თბილი, გრილა ზმნათა იდენტიფიცირება.
- დასვან შეკითხვა "როგორი *ამინდია?)"

გაკვეთილ(ებ)ის მიმდინარეობა

1. მასწავლებელი აჩვენებს ბავშვებს წვიმის, თოვლის, მზიანი დღის, მოღრუბლული ცის, ქარიანი დღის სურათებს.
2. ლექსიკური ერთეულების გაცნობის შემდეგ, მასწავლებელი გამოიძახებს 3 ბავშვს და დააყენებს სურათების ქვეშ (წვიმიანი დღე, თოვლიანი დღე, მზიანი დღე), ვარჯიში მიდის კითხვის დასმაზე და პასუხზე (როგორი ამინდია? - კარგი ამინდია, მზეა. ცუდი ამინდია, წვიმს; კარგი/ცუდი ამინდია - თოვს...).
3. თამაში # 30-1

ჰულა ჰუპი ან წრეები

დააწყვეთ ოთახში 5 ჰულა ჰუპი ან წრეები. თითოეულ მათგანს ამინდის სურათი (წვიმს, თოვს, ქარია, მზეა, ღრუბლიანი ამინდია) აქვს შიგნით. მოსწავლები საკლასო ოთახში დადიან მანამ , სანამ შესაბამისი ნახატის სახელს არ დაიძახებთ. ამ დროს მოსწავლეები შესაბამის წრეში ან ჰულა ჰუპში ხტებიან.

გააგორეთ წრეები ერთი სურათიდან მეორეს მიმართულებით.

გააგორეთ წრეები სხვადასხვა ფერის მაისურიან მოსწავლეებს შორის.

4. მასწავლებელი კითხულობს / ასმენინებს ბავშვებს ტექსტს.

ამბავი:

ნიკა და ლიზა სკოლაში წასასვლელად ემზადებიან. გარეთ ძალიან წვიმს, ამიტომ მამა მათ სკოლაში მანქანით წაყვანას სთავაზობს.

5. მასწავლებელი ასაუბრებს ბავშვებს, როგორი ამინდია დღეს.

6. მასწავლებელი ავარჯიშებს ბავშვებს დროის ერთეულებზე (წარსულზე აქცენტირებით): გუშინ... გუშინწინ...

7. მასწავლებელი იძახებს სურვილის მიხედვით 2-3 ბავშვს და ეკითხება, თუ როგორი ამინდი იყო გუშინ, გუშინწინ... იმისდა მიხედვით, თუ რას წარმოთქვამს ბავშვი,

8. ტექსტი: ლექსი -

გაზაფხულის წვიმა

კაპ-კაპ ციდან მოდის წვრილად
გაზაფხულის თბილი წვიმა.
არ მაშინებს, ქოლგას ვკეცავ
და წვიმასთან ერთად ვცეკვავ.
გუბეებში დავაბოტებ
ჩემს პრიალა, წითელ ბოტებს.
დედა სულაც არ მიწყრება
და კეთილად იღიმება.
ამ წვიმაში უდარდელად
რომ დავდივართ მე და დედა,
ვხვდები, ასე რატომ ხდება,-
მას ბავშვობა ახსენდება...

მზია გოგნიაშვილი

9. თამაში: **ხატვა - „ზაფხულის ან შემოდგომის ამინდი“:**
შევთავაზოთ ბავშვებს, დახატონ ნახატი, რომელზეც გამოსახული იქნება ზაფხულის ან შემოდგომის ამინდი. მივცეთ ბავშვებს საშუალება, რომ თავად აირჩიონ სახატავი მასალები და სურათის სიუჟეტი.

10. თითოეული ბავშვი გამოგვყავს და ვაყოლინებთ (მასწავლებლის დახმარებით), თუ რა დახატა მან. შემდეგ მასწავლებელი „სიუჟეტად კრავს“ და მთლიანობაში წარმოთქვამს ნახატის აღწერილობას. წარმოადგენს ამას, როგორც ბავშვის შემოქმედებას და სთხოვს მას, ახლა მან გადმოსცეს ეს აღწერა. ასე გამეორდება ყველა მოსწავლესთან...

ლექსიკა:

წვიმა, მზე, ღრუბელი, სიცხე, თოვლი, ქარი, სიცივე, სველი, წვიმიანი ამინდი, მზიანი ამინდი, მოღრუბლული, ქარიანი ამინდი, თოვლიანი ამინდი

საკვანძო წინადადებები/გრამატიკა

- როგორი ამინდია?
- წვიმს (ან წვიმიანი ამინდია)
- გარეთ ძალიან წვიმს

არსებითი სახელიდან ზედსართავი სახელი

- ქარი - ქარიანი
- ღრუბელი - ღრუბლიანი
- მზე-მზიანი

რესურსი:

სხვადასხვა ამინდის სურათი - 12 სურათი ().